
საბჭოთა აჭარა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 2 (223) გამოცემის მე-13 წელი

1969 წლის 22 აგვისტო

ყველაზე მაღლა, ყველაზე სწრაფად, ყველაზე ფორს!





სურათებზე: თბილისის აეროდრომი ღამით. მოწინავე ბორტგამყოლი ნანი ნახუცრიშვილი.

საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან და მის ძლევამოსილ შვიარაღებულ ძალებთან ერთად 18 აგვისტოს ზეიმით აღნიშნეს ტრადიციული დღესასწაული — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე.

აი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის წინსვლის ზოგიერთი მაჩვენებელი:

● ყოველწლიურად საქართველოდან სამგზავრო თვითმფრინავებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში მილიონნახევარი მგზავრი გადაყავთ. რესპუბლიკის შიგნით კი ქართველი ავიატორები თითქმის ხუთასიათას კაცს ემსახურებიან.

● საქართველო საჰაერო გზებით ჩვენი ქვეყნის ყველა დიდ ქალაქს უკავშირდება. მარტო მიმდინარე წელს 24 ახალი ავიახაზი გაიხსნა.

● იმ ავიახაზების სიგრძემ, რომლებსაც საქართველოს ავიატორები ემსახურებიან, უკვე გადაამეტა 100 ათას კილომეტრს.

● ჩვენი რესპუბლიკის თვითმფრინავებმა და ვერტმფრენებმა წელს დაამუშავეს 800 ათასი ჰექტარი ბაღი, ვენახი, პლანტაცია და ნათესი ფართობი, გაისად ეს ციფრი მილიონს გადააჭარბებს.

● 15 აგვისტოს გაიხსნა ახალი საჰაერო გზა თბილისი-ულიანოვსკი. 25 აგვისტოს კი მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი საჰაერო გზა — ბათუმი-მოსკოვი. ამ ტრასაზე მგზავრებს მოემსახურება კომფორტაბელური თვითმფრინავი „ილ-18“.

● საქართველოს ავიატორები ემზადებიან ახალი სამგზავრო ლაინერების „ტუ-134“ და „ტუ-154“ ასათვისებლად.

ჩაი, ჩვენი ქართული...

ჩაის მოვლა-პატრონობა ქართველმა კაცმა სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ისწავლა. თავდაპირველად ბევრი უნდობლად შეხვდა ჩვენში ამ კულტურის შემოტანას.

— ტრადიცია არ გაქვთ, ვერ მოუვლით, ვერ გაახარებთ, — ამ სიტყვებს მტერთან ერთად, ზოგიერთი მოყვარეც იმეორებდა.

ნათქვამია, დრო ყველაზე დიდი მსაჯულიაო. გავიდა ხანი და სწორედ საქართველო გახდა ის ქვეყანა, სადაც მსოფლიოში პირველად ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ აგუგუნდა. დიახ, სწორედ ქართველი კაცის აზრმა და გონებამ შექმნა ის, რის შექმნაც ჩაის კლასიკურ ქვეყნად წოდებულ ვერც ერთ სახელმწიფოში ვერ შეძლეს.

„საქართველო“ დღეს ჩვენი პლანტაციების მუდმივი ბინადარია. მარტო წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ყოველდღიურად 37 მანქანა მუშაობს. მათ წელიწადის დამლევამდე 1.000 ტონა ჩაის მოკრეფა ევალებათ.

ადამიანისა და მანქანის შეერთებულმა შრომამ შედეგიც შესანიშნავი გამოიღო. წალენჯიხელებმა სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება 13 აგვისტოს ახარეს. გადასამუშავებელ ფაბრიკებში 12.800 ტონა ჩაი გაიგზავნა.

წალენჯიხელებს არც ჩხოროწყუელები ჩამორჩნენ — დასახული ამოცანა მათაც პირნათლად გაანაღდეს.

გუდაუთელი მექანიზატორი გივი რეხვიაშვილი, რომელიც „საქართველოს“ საჭეს მხოლოდ ორი წლის წინათ მიუჯდა, ისე დაოსტატდა, რომ რესპუბლიკის მოწინავე მექანიზატორებს ტოლს არ უდებს. წლიური გეგმა 1 აგვისტოსათვის გაანაღდა. მის პირად ანგარიშზე 17 ათასი კილოგრამი ჩაი მოდის.

ვაჟკაცებს არც სულიკო ხურცილავა ჩამორჩება.

— ერთია და სამოც ქალს სჭობიაო, — ხუმრობენ მისი მეგობრები. ამ ხუმრობაში სიმართლეც ბევრია. ჩაის საკრეფი მანქანა ხომ 50-60 მუშახელს ცვლის.

ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ანგარიშზე საბჭოთა კავშირში დამზადებული ჩაის 96 პროცენტი მოდის, ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩვენში მეჩაიეობის განვითარებაზე. ასობით მკრეფავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

ტატიანა ტყებუჩავა, ლია გვარამაძე, ნათელა შენგელია, სესილია დოლიძე, გულნაზ ჯიჯეიშვილი, დარეჯან ტაკიძე, თამარ უუფუნია, დალი წივწივაძე... და ათასობით სხვა თავდადებით იბრძვის 215 ათასი ტონა ჩაის მოსაკრეფად. თითოეული მათგანი დღეში 100-120 კილოგრამ მწვანე ფოთოლს კრეფს. ბევრმა წლიური გეგმა კარგა ხანია შეასრულა, ზოგმა კი ხუთწლედის გეგმის განაღდებაც უპატაკა სამშობლოს.

დილიდან საღამომდე ჩაის პლანტაციაში ტრიალი ადვილი საქმე როდია. ამიტომაც არის, რომ ჩვენში მეჩაიეთა შრომა დიდად ფასდება, ხოლო ადამიანებს, რომლებმაც ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ შექმნით ეს შრომა შეამსუბუქეს, ქვეყნის ყველაზე დიდი ჯილდო, — ლენინური პრემია მიენიჭათ.

შორს არ არის ის დღეც, როცა მანქანა ჩაის პლანტაციების სრული ბატონ-პატრონი გახდება. მაშინ „მწვანე ოქროს“ ბარაქაც განუზომელი იქნება და მეჩაიეთა შრომაც — სახალისო.

ისე კი, თუ ქართველ მეჩაიეთა ნახელავს ინებებთ, თბილისში ყოფნისას ეხეტუმრეთ „ჩაის სახლს“. აქ მრავალნაირ ჩაის მოგართმევენ, ჭაშნიკი გაუსინჯეთ და რომელიც მოგეწონებათ, ის მიირთვით. საზღვარგარეთაც ბევრს ვაგზავნით. მარტო უკანასკნელ თვეში თბილისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ თავისი პროდუქცია გაგზავნა ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, ბელგიასა და მაროკოში. „მწვანე ოქროს“ მწვანე შუქს უნთებენ მსოფლიოს გზებზე!

რეზო მამალაძე

• • •

სურათზე: მექანიზებული კრეფა მახარაძის რაიონის ლაითორის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში.

ფოტო იოსებ დავითაშვილისა.



საქართველოს სიმდიდრე

მოცეკვავეთა ნარმატება

თბილისი-მოსკოვი-ვარშავა-ლოძი-პოზნანი-ტრიგოროდი-ვარშავა-მოსკოვი-ქუთაისი — ამ მარშრუტით გაემგზავრა ქუთაისიდან ვაჩრობის სამმართველოსა და პროფკავშირთან არსებული ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი. ამ ანსამბლს კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში. თბილისში, მოსკოვში, რუმინეთში, ბულგარეთში, უნგრეთში და ყველგან, სადაც კი გამოსულა მაყურებლის აღტაცება, ხანგრძლივი ტაში, მოწონება და პატივისცემა დაუმსახურებია.

ოქტომბერში ანსამბლი მიწვეულია სოციალისტური ქვეყნების ფესტივალზე ბუქარესტში.

თანაკვტრროგით...

გიორგი მდივანი ახლა ძალზე პოპულარული დრამატურგია. მისი სცენარებით ბევრი კარგი სურათი შექმნილა. ახლახან მოსკოვში იმყოფებოდა ცნობილი იტალიელი რეჟისორი ვიტორიო დე სიკა. რომელიც იღებდა ფილმს „მზესუმზირა“. სცენარის ავტორი ჩეზარე ძავატინისთან და ტონინო მუეროსთან ერთად არის გიორგი მდივანიც. ეს იქნება ფილმი იტალიელ ჯარისკაცზე, რომელიც ომის შემდეგ საბჭოთა ჯავშირში მოხვდა.

ფილმში მონაწილეობენ საბჭოთა მსახიობი ლუდმილა საველიევა, რომელიც ცნობილია ნატაშას როლის შესრულებით სურათში „ომი და მშვიდობა“, და იტალიელი მსახიობები სოფი ლორენი და მარჩელო მასტროიანი.

ფოთლოთა ნახელავი

სულ უფრო სრულყოფილი ხდება ქართველ გემთმშენებელთა სიამაყე, ფოთური წყალქვეშაფრთიანი ხომალდი „კომეტა“. დიდმა სისწრაფემ, კომფორტმა, სილამაზემ, გამძლეობამ სახელი გაუთქვეს „კომეტას“ არა მარტო ჩვენთან, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამჯერად მას ამერიკელები ყიდულობენ.

რესპუბლიკის გარეთ — ფერგანის არხის მშენებლობაზე გაიგზავნა ფოთელთა კიდევ ერთი ნახელავი, ჰიდრომექანიზმების ქარხნის პირმშო — „გიგანტი მიწისმწოვი“. ეს არის საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი მიწის მწოვი მანქანა. რომელიც საკუთარი ელექტროსადგურის ენერგიით მუშაობს. მანქანას საათში 250 კუბური მეტრი მიწის ამოღება და გადაუადგილებლად 50 მეტრი სიგრძის არხის გაჭრა შეუძლია.

გელათიდან საზღვარგარეთ

დღითიდღე აუმჯობესებს მუშაობას გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივი. წლეულს აქ შრომის ნაყოფიერება 13,5 პროცენტით გაიზარდა, 106,3 პროცენტით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა.

სამეურნეო წლის პირველ ნახევარში პრემიებისა და დახმარების სახით გაიცა 24 ათასი მანეთი. ხუთი პროცენტით გადიდდა მუშის ხელფასი.

გელათიდან ბევრი გაზომნათი ტრანსფორმატორი გაიგზავნა მოსკოვში, მინსკში, ალმა-ათაში. ტაშკენტში, აშხაბადში. ბაქოსა და კრასნოვოდსკში.

მალე გელათურ ტრანსფორმატორებს მიიღებენ ირანსა და ერაყში.

მოდის ახალი შევსება



კიდევ რამდენიმე დღე და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ახალმიღებულ სტუდენტთა სიები გაიკვრება. სექტემბრის ზარი ღირსეულთა შორის ღირსეულთ პირველ ლექციაზე მიიპატიჟებს.

როგორ წარიმართა გამოცდები? ამ საკითხზე ყველაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, საქართველოს სსრ შრომის სისტემის და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს შეეძლო და ჩვენც მას მივმართეთ.

● რამდენი სტუდენტი ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო ტექნიკურ სასწავლებლებში წელს?

— საქართველოში ამჟამად თვრამეტი უმაღლესი სასწავლებელია. აქედან ათი, ესე იგი, მარტო ჩვენს სისტემაში შემავალი უმაღლესი სკოლები, წელს მიიღებენ 10.305 აბიტურიენტს. მხედველობაში მაქვს სწავლების სამივე ფორმა — დღის დასწრებული, საღამო, დაუსწრებელი.

მისაღები გამოცდები მიმდინარეობს აგრეთვე 20 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში (რესპუბლიკაში ასეთი სკოლა სულ 98-ია). წელს ამ სასწავლებლებში მივიღებთ 6.290 ახალგაზრდას.

● აქედან რამდენი ახალგაზრდა მიიღებს უმაღლეს განათლებას ქართულ ენაზე?

უმაღლეს სასწავლებლებში, ქართულის გარდა, გვაქვს რუსული, აფხაზური, ოსური, სომხური და აზერბაიჯანული სექტორები. თუ როგორია შეფარდება, შეგვიძლია წლევანდელი კონტიგენტითაც ვამსჯელოთ: დღის სწავლების პირველ კურსზე ჩვენი სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღება 7.075 სტუდენტი, აქედან 1.410, ე. ი. 19,9 პროცენტი ისწავლის არაქართულ ენაზე, დანარჩენი 5.665 სტუდენტი — ქართულ ენაზე.

● სარგებლობენ თუ არა მისაღებ გამოცდებზე შეღავათებით მთის რაიონებიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ახალგაზრდები?

ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ახალგაზრდებისათვის ეწყობა კონკურსგარეშე მიღება, ისევე, როგორც სხვა ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების აბიტურიენტებისათვის, თუ კი ამას გვთხოვენ მათი ხელმძღვანელები. მაგალითად, წელს ყალმუხეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ გვთხოვა 4 ადგილი, იაკუტიამ — 6, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურმა ოლქმა — 5 და ყველა ეს თხოვნა დავაკმაყოფილეთ. გარდა ამისა, კონკურსგარეშე მიღებას ვაწარმოებთ სამხრეთ საქართველოს, ფშავ-ხევსურეთის, დმანისის, საინგილოს მკვიდრი და აჭარის ლაზი ახალგაზრდებისათვის. სულ კონკურსგარეშე მივიღებთ 400 სტუდენტს.

● საზღვარგარეთის რომელი ქვეყნის წარმომადგენლები სწავლობენ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში?

საქართველოს უმაღლეს სკოლებში მეცნიერებას ეუფლებიან სტუდენტები ვიეტნამისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკებიდან, უნგრეთიდან, ნორვეგიიდან...

● როგორია მათი მიღწევები ქართული ენის შესწავლაში?

უცხოელმა სტუდენტებმა კარგად აითვისეს ქართული ენა. ზოგიერთი მათგანი უკვე თავისუფლად ლაპარაკობს, ხოლო ლიტერატურას საკმაო ხანია იყენებს.

● ქართველი სტუდენტები და ასპირანტები თუ მიემგზავრებიან უცხოეთში სასწავლებლად?

ჩვენი ახალგაზრდები, სტუდენტები და ასპირანტები სწავლობენ უცხოეთის არაერთ უმაღლეს სკოლაში. მათ შორის ბირმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, ბულგარეთში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში.

● ხართ თუ არა კმაყოფილი აბიტურიენტთა ცოდნის დონით?

ყველაფერი შედარებითია, განსაკუთრებით ცოდნა. მაგრამ წელს რომ უკეთესად, გაცილებით უკეთესად მომზადებული ახალგაზრდობა მივიღეთ ვიდრე გასულ წელს, უტყუარი ფაქტია. სამ დისციპლინაში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მისაღები გამოცდები წერით ჩავატარეთ, ასეთ პირობებში კარგი მაჩვენებლების მიღება აბიტურიენტთა მაღალ მომზადებას გვიდასტურებს.

კარგი შედეგები მოგვცა აგრეთვე მანქანის დახმარებით გამოცდამ მათემატიკაში. მარტო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 9.000-მდე აბიტურიენტის ცოდნა მათი დახმარებით შემოწმდა.

● და ბოლოს ერთი შეკითხვაც: — რა შეფასებას იმსახურებს საქართველოში უმაღლესი სწავლების დღევანდელი დონე?

საქართველოს უმაღლესი სკოლა იმდენად ცნობილია მსოფლიოში, რომ მისი ავტორიტეტი თვით უცხოელების მიერ არის აღიარებული. საქართველოს უმაღლესი განათლების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს: — ყოველ 1.000 მოსახლეზე 40 უმაღლესდამთავრებული, ხოლო 10.000 კაცზე — 167 სტუდენტი მოდის.

ვფიქრობ, კომენტარები საჭირო არ არის.

ერთი ლექსი

ქართველ პოეტთა შემოქმედებას ჩვენს გაზეთში, რა თქმა უნდა, საპატიო ადგილი დაეთმობა. ამიერიდან რუბრიკით — „ერთი ლექსი“, — რედაქცია მკითხველს გააცნობს ქართველი პოეტების თითო ლექსს. ცხადია, ვეცდებით შემოთავაზებული ლექსი პოეტის შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესო იყოს.

ის, რომ პირველ სიტყვას სანდრო შანშიაშვილს ვაძლევთ, შემთხვევითი როდია. სწორედ სანდრო შანშიაშვილი გახლავთ ის შემოქმედი, რომელმაც რევოლუციის პირველსავე წლებში ქართველი მკითხველისათვის ახლობელი გახადა ლენინის სახე. მისი ლექსი „დედისერთა ლენინთან“, რომელიც 42 წლის წინათ დაიწერა, იმდენად პოპულარულია, რომ ძნელად თუ ნახავთ საქართველოში ადამიანს, ზეპირად არ იცოდეს იგი.

სანდრო შანშიაშვილმა 80 წელს გადააბიჯა. გეზეთი „სამშობლო“ და მისი მკითხველები დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უსურვებენ შესანიშნავ შემოქმედს.

დედისერთა ლენინთან

„შვილო, ეგების გამიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი, შენ ყველა გიცნობს, ხმა მიაწვდინე, ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა. ცხრა წლის წინათ კიდევ მივიღე წერილი, რაღაც სამოქალაქო ომში ვიბრძვიო. შემდეგ აღარაფერი ვიცი. მკვდარია თუ ცოცხალი? მე კი სულ შვილის მოლოდინში ვარ. დამწუდა თვალები. გამიგე, აგრემც შერჩები ქვეყანას!“

დედის წერილიდან

გარეთ ცივა... ჰჭრის ქარი...
მთვარე ვახშმობს მუხებში.
დახშულია ჭიშკარი,
აძევს კლიტე უხეში.
დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლო კუთხეში,
თვალში ცრემლი დამშრალა...
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?

ჩასთვლემს, ისევ იღვიძებს,
ღამეს თეთრად ათენებს.
გულისყური ერთზე აქვს,
მის გულს ერთი ამრთელებს.
მუხლი მაინც უჭრიდეს,
ხალხს შესძრავდა ომით ის.
აღარ ძალუძს საბრალოს,
შავ ძაძებში დრო მიდის
ღოდინი და იმედი!
ხვალეც ღამე ღოდინის!

მას ბურანში მოესმის:
— „დედი, გახსენ ჭიშკარი!
მე, ვარ, ნუთუ არ გესმის?
გარეთ ცივა, ჰჭრის ქარი!
შენი შვილი დაბრუნდა,
დედისერთა ვაჟიკა,
უვნებელი, მაგარი,
როგორც სალი კაჟი ქვა!
გახსენ კარი, დედა უ!
შენს შვილს გარეთ რა უნდა?
ეს ხომ მე ვარ! არ გესმის?
შენი შვილი დაბრუნდა!“

დედა ენას ვერ აგებს,
სწრაფად დგება მძინარი,
სიხარულით ცახცახებს:
— შვილო, დედა შინ არი!

ღელვით კარებს გააღებს,
იქ არვინ ჩანს მღიმარი!
ცრემლით წყვდიადს შესცქერის
— ტკბილი იყო სიზმარი!

როს მოხუცი ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ჰხედავდა,
იმ დროს მისი ვაჟიკა
მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა.

ის იბრძოდა, წითლებთან
წითელ დროშას იცავდა.
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა!

პირველ რიგში დაეცა,
ტყვიამ აღარ იცადა!
მისი კვნესა: „ოხ, დედა!“
ზარბაზანმა დაჭფარა;
თავი დასდო ხალხისთვის,
სისხლი ნორჩმა დაღვარა.
ნახა საძმო საფლავი,
ვეღარ — დედის ჭაღარა!

და იმ დღიდან მოელის...
გარეთ ცივა... ჰჭრის ქარი!
ზის და უცდის გულმკვდარი
დედისერთას მთის ქალი.
მუდამ ფხიზლობს, მზად არის,
შვილს გაუღოს ჭიშკარი!

თავზე დასთენებია,
ამოსულა ცისკარი.
აღარ ძალუძს საბრალოს,
შავ ძაძებში დრო მიდის
„დედა მას ენაცვალოს“,
ხვალეც ღამე ღოდინის!

სანდრო შანშიაშვილი.
1927

ვაჟკაცობა ჩარგალში

იმ დილით ჩარგლის მთებიდან ღრუბლები სადღაც გაიკრიფნენ. აღარ ჩანდა მთების ფიქრიც — მოფარფატე ნისლი და მზემ თავისი სხივები უხვად დაფრქვია მთასა და ბარს. თითქოს ბუნებასაც უხაროდა იმ კაცის გახსენება, რომელმაც კარგად იცოდა მისი ენა, მისი უსაზღვრო ფიქრები და სანუკვარი ოცნებები. დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ტრადიციულ ზეიმზე — „ვაჟაობაზე“, კერძოდ, ჩარგალში მოვიდნენ დუშეთის რაიონის მშრომელები, სტუმრები დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან. მოვიდნენ ცხენოსანი ხევსურები ბარისახოს მთებიდან. გაიმართა ნამდვილი ხალხური ღღესასწაული.

პოეტი **კარლო კალაძე** ზეიმზე თავშეყრილთ ელაპარაკა ვაჟას პოეტურ გენიაზე, მის უკვდავ შემოქმედებაზე. სიტყვა წარმოთქვა პოეტმა **რევაზ მარგიანმა.** დამსწრენი ტაშით შეხვდნენ შორეული კუბის წარმომადგენელს, მწერალ **დავით ბუცს.** ვაჟას გენიალურმა შემოქმედება, — თქვა მან, — მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მე ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები მის მშობლიურ მხარეში, მე მიყვარს ვაჟას პოეზია, განზრახული მაქვს დავწერო პოემა დიდი ქართველი მგოსნის ცხოვრებაზე.

ტრიბუნაზეა ვაჟას შვილიშვილი — პედაგოგი **ალექსი რაზიკაშვილი.** მას ცვლიან ხალხური მთქმელი **ნიკო ბულალაური,** პედაგოგები **იოსებ ქართველიშვილი** და **ვახტანგ კასრაძე.** ისინი კამათლობენ ვაჟასადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს. დღესასწაულს თავისი შნო და ლაზათი მისცა საქართველოს ხალხური სიმღერასა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლამ. გაიმართა დოღი და ხალხური თვითმოქმედების კონცერტი.

.. დაღამდა, მაგრამ დიდხანს არ შეწყვეტილა სახალხო ზეიმი.

შენ ხომ ქართველი ხარ, ბიჭო!

ბუკრესტის საერთაშორისო კონგრესზე

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართება ხალხური სიტყვიერების მსოფლიო საზოგადოების V საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე მიწვეულია საბჭოთა მეცნიერების დიდი ჯგუფი, მათ შორის არიან ცნობილი ქართველი სპეციალისტები — სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კაბინეტის გამგე პროფესორი ძსმნია სიხარულიძე და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი.

ქსენია სიხარულიძე კონგრესზე წაიკითხავს მოხსენებას „ქართული ელეგია“. საინტერესო იქნება მიხეილ ჩიქოვანის მოხსენება „მაქსიმე აღმსარებლის სახე მეშვიდე-მერვე საუკუნეების ქართულ ლეგენდებში“.

(საქდესი)

„სულიკოს“ ავტორი

„ხდება ცხოვრებაში გასაოცარი ამბავი: პარიზში ფრანგები ორკესტრზე უკრავდნენ „სულიკოს“. ბევრი რამ მსმენია ქვეყნად, მაგრამ ასეთი მუსიკა არასოდეს“... — წერდა გალაკტიონ ტაბიძე. მართლაც, არც ერთ ქართულ სიმღერას არ რგებია წილად ისეთი დიდი აღიარება და სიყვარული, როგორც „სულიკოს“. იმერეთის ერთ პატარა სოფელში დამღერებულმა მელოდიამ მილიონობით ადამიანის გული დაიპყრო.

„სულიკოს“ ასეთი საერთაშორისო რეზონანსი გვავალებს მეტი გულისყურით მოვეკიდოთ მის ავტორს ვარინკა წერეთელს.

ვარინკა წერეთელი დაიბადა 1874 წელს სოფელ ცხრაწყაროში. საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო, მაშინდელ ქალთა გიმნაზიაში. მუსიკისადმი მიდრეკილება ბავშვობიდანვე დაჰყვა. იმის გარდა, რომ კარგად მღეროდა, თვითონაც თხზავდა მშვენიერ სიმღერებს გიტარაზე, მეტწილად აკაკი წერეთლის ლირიკულ ლექსებზე. ამ გარემოებამ ვარინკა და აკაკი ძლიერ დაამეგობრა. დიდი პოეტი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა. თუ როგორ დაიწერა სულიკო, ამის შესახებ ვარინკა წერეთელი ასე მოგვითხრობს:

„აკაკი ჩემი ახლო მეგობარი იყო, ძალზე მოსწონდა ჩემი სიმღერები და ხშირად მთხოვდა რაიმე სიმღერის შესრულებას. ერთხელ აკაკიმ თავისი ახლად დაწერილი ლექსი „სულიკო“ გადმომცა და მითხრა: ამას შენებურად რაიმე კილო გამოუძებნეო. დიდი მგოსნის შეკვეთამ, რა თქმა უნდა, საგონებელში ჩამაგდო. ლექსის მომხიბლავმა სილამაზემ ჩემში უთვალავი მუსიკალური სახე აღძრა. ღრმა ინტერესით მოვკიდე ხელი გიტარას და შევქმენი ორიგინალური მუსიკა. ამაში დიდად დამეხმარა თვით ლექსის რიტმულობა, სიმსუბუქე და მუსიკალური ბგერებით ჩამოყალიბებული აზრები.

დიდ პოეტს ჩემ მიერ შექმნილი მუსიკა ძალზე მოეწონა. იგი მთელი გრძნობით უგდებდა ყურს „სულიკოს“ და მის ნათელ სახეზე უსაზღვრო სიამოვნება იხატებოდა“.

პირველად „სულიკო“ ნოტებზე 900-იან წლებში, ქართული ხალხური სიმღერების დიდმა მოამაგემ კოტე ფოცხვერაშვილმა გადაიღო.

1912 წელს იგი დაუმუშავებია ზაქარია ფალიაშვილსაც. 1937 და 1938 წლებში „სულიკო“ ორჯერ გამოიცა ლენინგრადში.


უფრო ადრე, 1934 წელს, „სულიკო“ გამოიყენა მიხეილ ჭიაურელმა ფილმში „უკანასკნელი მასკარადი“, რამაც დიდად შეუწყო ხელი ამ სიმღერის ფართო გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადისათვის მოსკოვში სიმღერა სამი ხმისათვის დაამუშავა და სათანადო საჩონგურო აკომპანემენტი შეურჩია ავქსენტი მეგრელიძემ. „სულიკო“ დეკადაზე პირველად შესრულდა 1937 წლის 8 იანვარს მოსკოვის დიდ თეატრში. გაზეთმა „პრავდამ“ მაღალი შეფასება მისცა მას.

„ჟე ვილაპარაკებთ სილამაზეზე მუსიკაში, — წერდა „პრავდა“ — მაშინ შეიძლება ვერც კი ვიპოვოთ მთელ მსოფლიო მუსიკალურ ლიტერატურაში ბევრი ისეთი ნაწარმოები, როგორიც „სულიკოა“.

„სულიკო“ გრაციოზული სიმღერაა. მანერით განთქმულ ნეაპოლიტანურ მელოდიებს მოგვაგონებს.

ვარინკა წერეთელს, „სულიკოს“ გარდა, ბევრი სიმღერა შეუქმნია, ბევრიც თავისებურად გადაუკეთებია. ამაგდარი ქალი 1948 წელს გარდაიცვალა.

სულიკო



ეკალში ვარდი შევნიშნე
ობლად რომ ამოსულიყო,
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?“

სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატკბილე ჩიტუნას
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?“

შეიფრთხიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს თქვა „დიახ, დიახო“.

წერილი საფრანგეთიდან

საფრანგეთიდან წერილი მოვიდა, რომელსაც ხელს აწერს ახალგაზრდა ქალი მადამ **ოლივიერ ელიანი**. წერილი კიდევ ერთხელ გვახსენებს იმ დღეებს, როდესაც მსოფლიო ომის ხანძარში იყო გახვეული და ადამიანები თვითონ როდი განაგებდნენ თავიანთ ბედ-იღბალს. აი მისი შინარსი:

— დავეძებ მამაჩემს, რომელსაც ზედმეტ სახელად „სტორკას“ უწოდებდნენ. სამწუხაროდ, მისი ნამდვილი გვარი არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ ქართველი იყო.

მამა, საბჭოთა არმიის მედიცინის მაიორი, ტყვედ ჩავარდნილა სტალინგრადთან. 1941 წელს, როცა საფრანგეთში, ლორენის ერთ პატარა სოფელში, — ნეიმეზონში, დედაჩემი — 23 წლის ჯილბერტ ბრიშლერი გაუცნია, იგი 32 წლისა ყოფილა. — საშუალოზე დაბალი, შავთმიანი, წაბლისფერთვალება — ასე ახასიათებენ მას. ამბობენ, რომ თან დაჰქონდა ვიოლინოს მსგავსი რაღაც ორსიმიანი საკრავი და ხშირად უკრავდაო.

მე 1945 წელს დავიბადე. ახლა 24 წლისა ვარ.

ძალიან მინდა ვიცნობდე მამას. იქნებ დამეხმაროთ მის მოძებნაში. სად არის, რას აკეთებს... მინდა გამოველაპარაკო, ყველაფერი ვიცოდე მასზე.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს წერილი თქვენს გაზეთში, ნუ დაიზარებთ ამ მცირე სამსახურს. ალბათ, მამაჩემიც დაინტერესდება ჩემი არსებობით.

წინასწარ მადლობას გიძღვნით დახმარებისათვის.

Madame Olivier Eliane
55, rue de Clichy
Paris 90
Franse

◆◆

— ვინ არის „სტორკა?“ ვინ ატარებდა ასეთ გვარს საფრანგეთში ტყვედ ყოფნის დროს? ამ კითხვით მიმართავს რედაქცია მკითხველებს და სთხოვს, თუ რაიმე იციან მის შესახებ, მოგვწერონ, ან აცნობონ წერილის ავტორს — ქალბატონ ოლივიერ ელიანს.



სურათზე: (მარცხნიდან) ვასილ ხარისჭირაშვილი, ტანიტ ტაბიძე, რევაზ მარგიანი უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებაში.

დედაჩემი იმდენს მელაპარაკებოდა საქართველოზე, რომ თბილისში გადმოფრენისას დარწმუნებული ვიყავი — უცნობ ქვეყანაში არ მოვდიოდი. თავის სამშობლოს დედაჩემი მუდამ სიამაყით იგონებდა ხოლმე. როცა იწყებდა ლაპარაკს თბილისზე, ქართულ ზნე-ჩვეულებებზე, საქართველოს სილამაზეზე, გეგონებოდა, ეს ქვეყანა მართლა ბიბლიური სამოთხე იყო.

თხუთმეტ წლამდე ყველაფერი მჯეროდა, მერე კი — ხომ იცით, ახალგაზრდა კაცი ყოველთვის ეჭვიანია — ვფიქრობდი: რა არის ეს საქართველო, სხვა ქვეყნებიც ხომ არსებობენ... და ცოტა გავფრანგდი. შემოყვარდა ჩემი მეორე სამშობლო, მასზე უკეთესი ჩემთვის არაფერი არსებობდა ქვეყანაზე.

ამის მიუხედავად, იდუმალი ხმა ხშირად მეუბნებოდა: „შენ ხომ ქართველი ხარ, ბიჭო შენი გრძელი გვარით, ვის ატყუებ?“

გავიდა წლები. ხშირად მესიზმრებოდა: თბილისში ვიყავი, დაკარგული, დედაქალაქში არავის ესმოდა ჩემი ქართული... მაინც იმდენად არ ვიყავი გაფრანგებული, რომ დამევიწყებინა ჩემი ქართველობა. გონებით მარად ჩემი წინაპრების სამშობლოსთან ვიმყოფებოდი. მთელი რვეული მაქვს სავსე საქართველოზე ჩანაწერებით, სურათებით...

ბოლოს იწურებოდა, როცა მშობლიურ თბილისში აღმოვჩნდი, ჩემს საოცნებო საქართველოში. აღფრთოვანებული ვიყავი, მაგრამ გარეგნულ სიმშვიდეს მაინც ვინარჩუნებდი. თბილისი სწორედ ისეთი გამოდგა, როგორიც მეგონა — ლამაზი, ტკბილი, მომხიბვლელი.

ბევრი რამ ვნახეთ საქართველოში მე და ჩემმა მეუღლემ. ძალზე ძნელია ჩემთვის მთელი სისავსით გამოვთქვა მადლიერების გრძნობა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებისადმი, რომელმაც სტუმრად მომიწვია. სამწუხაროდ, პოეტი არა ვარ, ეს მოგზაურობა კი ჰეშმარიტად პოემის ღირსია!

დედაჩემის დაკარგული სამოთხე ვნახე და მისი ცრემლის მიზეზიც გავიგე. ვარძია ვნახე და ქართული მინანქრები. ილიას სახლ-მუზეუმში მოვისმინე გიდის საინტერესო საუბარი, მივხვდი, რატომ ლაპარაკობდა დედა ასეთი სიამაყით თავის სამშობლოზე.

კახეთში ერთი გლეხის ოჯახში ვისადილეთ, ვიგრძენი ქართული პატივისცემა, გავიგე, რას ნიშნავს ქართველობა. ჩვენი მასპინძელი მიყურებდა და ტიროდა. რაჭველი არ გახლავართ, მაგრამ ძალზე ნელი ვარ, წლები იქნება საჭირო, რომ მთლიანად შევიცნო ამ მგზავრობის ფასი და ღირსება.

ჩემი მეუღლე და მე უღრმეს მადლობას ვუძღვნით უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას, რომელმაც საშუალება მომცა ჩემი სურვილი განმეხორციელებინა.

ვასილ ხარისჭირაშვილი

□

ვასილ ხარისჭირაშვილი დაიბადა და გაიზარდა საფრანგეთში. უმაღლესი განათლება პარიზის უნივერსიტეტში მიიღო. იგი ფრანგული ენის მასწავლებელია. ბორჯომსა და ქართული ენისადმი სიყვარულმა ისევ უნივერსიტეტის კედლებში დააბრუნა. ამჟამად აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე სწავლობს და ორნებობს გახდეს ქართული ენის სპეციალისტი. უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად, ბატონი ვასილი ამზადებს სადისერტაციო შრომას. თემად ტიციან ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება აირჩია.

რამ განაპირობა არჩევანი? ამაზე ჩვენი სტუმარი ასე გვიპასუხებს: — ტიციანის შემოქმედებასთან პირველივე შეხვედრამ, მისი ლექსების გაცნობამ, მაგრძნობინა, თუ რა დიდი ძალა აქვს ამ პოეტს, როგორი უკიდეგანოა მისი შემოქმედება.

რა თქმა უნდა, საქართველოში მოგზაურობის ერთი ნაწილი ვასილ ხარისჭირაშვილმა ნათესავებთან შეხვედრის გარდა, ტიციან ტაბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკეთ გაცნობას დაუთმო. შეხვდა პოეტის ახლო მეგობრებს — სერგო კლდიაშვილს, დავით დემეტრაძეს, პოეტ რევაზ მარგიანს. ინახულა ტიციან ტაბიძის ქალიშვილი ტანიტ ტაბიძე.

საფრანგეთში გამგზავრების წინ ბატონმა ვასილმა სურვილი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში კვლავ ეწვევა საქართველოს და შეეცდება, უკეთ გაეცნოს მის ყოველ კუთხეს, უკეთ შეიცნოს ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრამ ამდენი ბედნიერება მოუტანა.

A. Tséréthéli

SOULIKO

(Chanson populaire géorgienne)

J'ai cherché pendant bien des jours
De ma bien-aimée le tombean
Mais j'en suis encore à
chercher mon amour...
— Où reposes-tu, Souliko?
Comme s'exhalait ma douleur,
Une rose au coeur frais éclos
Palpita soudain, au rythme de
mon coeur:
— Serait-ce pas toi, Souliko?

Puis un rossignol merveilleux
Lansa son ramage aux échos...
Mais j'interrompis ses accents
mélodieux:
— N'aurais-tu pas vu Souliko?
Pour frôler la rose de sang
Il pencha sa gorge aussitôt
C'est ici, dit-il, ô, malheureux
amant,
C'est ici que dort Souliko.

(Traduction de P. Luquet).

ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ...

ასე აფასებენ გვენს დედაენას

დედაენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა.

იაკობ გოგებაშვილი

* * *

ქართული ენა იმდენად მდიდარია, რომ თავისი შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო მნიშვნელობის ენაა.

ნიკო მარი

* * *

ქართული ჩემი დედაენაა, ყოველ ენაზე უტკბესი და უძვირფასესი ჩემთვის.

აკაკი წერეთელი

* * *

ქართული ენა მშვენიერი ენაა, მოქნილი და ზუსტი, ორიგინალური აგებულებისა. მას დიდებული წარსული აქვს.

პროფესორი **რენე ლაფონი,**
ფრანგი ქართველოლოგი

* * *

გამოსახატვის საშუალებით ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია, იგი არც სიტყვიერი მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე განვითარებულ ენებს.

პროფესორი **რიჰარდ მეკელაინი**
გერმანელი ქართველოლოგი.

* * *

ქართული ენა ღამაზი ჭნაა; იგი იტალიურივით ნაზია, ესპანურივით მოქნილი და არაბულივით მჭექარე. ქართული ენა მეგობრობის, სიყვარულისა და გმირობის ენაა.

გუსტავო დელა ტორე გოტარო,
ჩილელი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე მთარგმნელი.

„სამშობლოს“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულმა წერილებმა, რომლებიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებისათვის მშობლიური ენის სწავლების საჭირბოროტო-საკითხებს მიეძღვნა, მკითხველთა დიდი ინტერესი და მხარდაჭერა გამოიწვია. დღეს ვაქვეყნებთ ქართველ მეცნიერთა წერილებს ქართული ენის შესწავლის მნიშვნელობაზე, მის როლსა და ადგილზე მსოფლიო ენათა ოჯახში.

არ დავივიწყოთ დედაენა

არნოლდ ჩიქობავა



1. ქართული ენა მოცემული გვაქვს კუთხური კილოკავებების სახით ერთი მხრივ, სალიტერატურო ქართული ენის სახით — მეორე მხრივ. კილოკავები ნაირნაირია, ზოგ კუთხეში ასე „უქცევენ“, ზოგში — სხვაგვარად. თუ შეურიც ქართულია და გურულიც, ხევსურულიცა და ქვემოიმერულიც, აჭარულიცა და ქართლურ-კახურიც. ეს უკანასკნელი ყველაზე ახლოსაა სალიტერატურო ქართულთან. ქართულ-კახური საყრდენი დიალექტია სალიტერატურო ენისათვის, მაგრამ მაინც დიალექტია.

ჟართლურის ნიმუში: ადგა ბიჭმა, ახსენა ღმერთი, და იქ უნდა წავიდეს, სადაც ია და ვარდის ჭალაჭია, გასწია, წავიდა. ერთ ალაგს ერთი ალვი ხე იდგა. იმ ალვი ძირში მშვენიერი წყარო გამოდის, მეტიც არ იქნება, იქ დაისვენა. ამ ბიჭს ძილში მაესმა რაღაც ყივილ-ხივილი, წიოკობა. ამ ალვი ხეზე თურმე წიწილები არიან ფაშკუნდისა, ემაგნაირად წიოკობენ ე წიწილები, რომ იმითი ცოდვით რაღა თქვას კაცმა. (მოგვყავს ივანე გიგინეიშვილის, ვარლამ თოფურიასა და ივანე ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიიდან“, 1961 წელი).

შეადარეთ გურული (ჩოხატაურის რაიონი): დამობილდა თურმე ორი კაცი. ვეღარ გავძლეშთი აჭანაიოო და წვივიდეთო. წვივიდნენ თურმე. სამი პური ერთმა წეიღო საგძლათ, სამი — მეორემ. იარენ, იარენ, მოშივდენ. ვჭამოთო, ერთმა უთხრა მორეს. ჯერ შენი ვჭამოთ და მერე — ჩემიო. ჭამეს იი პური. ერთი დღეი გადიარენ. ვჭამოთ კიდემო... ამას აღარა აქ საგძალი მეტი. გადიარენ მეოთხე დღეი... (იქვე).

ქვემოიმერული (ვანის რაიონი): ზამხული ძალიანი ადრე დეიწყო წრომულს. ჩვენი ეზო თხმელაებშია და საურცხოვო სანახავი იყო... ყორიშელი ნამყოფი ადრეა, თებერვლის კვირტი როა, მიტო. ამ ეზოობაში და საბზეურებზე სიმიდე დაბაზებულია, მარა უნაირო ყვაპები დეიწყო. ყანა საშინელი გვიანი არი, ხეხილი ნამეტარი ადრეა. (იქვე).

თუშური: წელიწად ღამესავ დიკლოს ლეკის ჯარ მოიდავ. როცა რომ ჭამის ჭამაზე დავსხედითავ, მანამ ვერ გავიგეთავ, მანამ სოფელში არ შემოიდავ. შვიდმეტ დღესავ იბრუნავ ჯარმავ (იქვე).

2. კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი ერთია ყველა კილოკავებზე მოუბართათვის, ერთობლივ ყველა კუთხის ქართველთათვის, ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი.

ეს ერთი სალიტერატურო ქართული ენა ქართველობის ერთვნული ენაა, სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა, იგი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენას წარმოადგენს.

3. სალიტერატურო ქართულ ენას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს; უძველესი ქართული წარწერები მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ქართულ ენაზე უკვე მოიპოვებოდა მდიდარი სასულიერო, თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურა, მეტწილად ნათარგმნი.

ქართულ ენაზე მეთორმეტე საუკუნეში დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“ საერო ქართული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუში.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის საძირკველია ქართული მწერლობის კლასიკოსების—ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას თხზულებები. მდიდარი და მრავალფეროვანია საბჭოთა წლების ქართული პოეზია და პროზა.

ქართულ ენას სწავლობდნენ გამოჩენილი ავსტრიელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხარტი, გერმანელი ქართველოლოგი დეეტერსი, მეკელაინი...

ქართული ენის შესწავლა-გამოკვლევაში თვალსაჩინო მიღწევები აქვთ ნორვეგიელ ენათმეცნიერს ჰანს ფოგტს, ფრანგ ბასკოლოგსა და კავკასიოლოგს რენე ლაფონს, გერმანელ მკვლევარებს პროფესორებს გერტრუდ პეჩს, კარლ შმიდტს... წარმატებით სწავლობენ ქართულს ჰოლანდიელი ენათმეცნიერები ებელინგი და კოიპერსი...

4. ყოველი ენის დანიშნულებაა კაცს აზრი გამოათქმევინოს და მოსაუბრესთან ურთიერთობა შეაძლებინოს, ანუ, როგორც იტყვიან, ყოველი ენა აზროვნების იარაღი და ურთიერთობის საშუალებაა.

ეს ორი ფუნქცია ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება. მთავარი მაინც მეორეა, ურთიერთობის საშუალებად ყოფნა.

რაც უფრო მეტი ადამიანი იყენებს ენას ურთიერთობის საშუალებად, მით უფრო მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს ენას. თუ ენას ურთიერთობის საშუალებად არავინ ხმარობს, ეს ენა მკვდარია.

კაცი იფიქრებს: აზროვნების იარაღად მაინც დარჩება ენა, თუნდაც მასზე არავინ საუბრობდესო. ეს ასე არ არის. რა ენაზეც ვსაუბრობთ, ის ენაა, პირველ ყოვლისა, აზროვნების საშუალება. თანდათან გადაეჩვევა ადამიანი იმ ენაზე აზროვნებას, რომელზეც აღარ ლაპარაკობს.

ამიტომ არის, რომ სხვა ხალხში, სხვა ენის გარემოცვაში მყოფ ადამიანს თანდათანობით ავიწყდება დედაენა.

ხოლო თუ დედაენა დაგვავიწყდა, მშობელ ხალხთან კავშირიც გვავიწყდება: ენა არის ხალხის მეხსიერების არსებითი ნიშანი. ქართველი კაცი, რომელმაც დაკარგა ქართული ენა, მალე და ადვილად გაითქვიფება სხვა ხალხში.

არ დავივიწყოთ დედაენა!

ქართული ენა მსოფლიო ასპარეზზე

სიმონ ყაუხჩიშვილი



საბჭოთა კავშირში ასზე მეტი ენა ითვლება. ამ ენათა წარმომადგენელთაგან საკუთარი დამწერლობა მოეპოვებოდათ ოქტომბრის რევოლუციამდე, მხოლოდ 1) სლავური წარმოშობის ერებს (რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს — ე. წ. რუსული დამწერლობა), 2) ქართველებსა და 3) სომხებს რაც შეეხება ბალტიისპირეთის ერებს, ისინი ლათინურ ანბანს იყენებენ. დანარჩენმა ერებმა რევოლუციის შემდეგ შეიმუშავეს თავისთვის ანბანები რუსული ანბანის საფუძველზე, და ამ ანბანზე შექმნეს საკმაოდ მდიდარი მწერლობაც.

ზემოდასახელებული სამი ანბანიდან (რუსული, ქართული, სომხური) უძველესად ითვლება ქართული და სომხური. ამ ანბანთა მეშვეობით ქართველებმა და სომხებმა შექმნეს მდიდარი ლიტერატურა, რომლის ძეგლები, ჯერჯერობით, მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან არის გამოვლენილი.

სომხური ენა ინდოევროპულ ენად არის მიჩნეული, თუმცა მისი ფესვები ინდენად არის დაკავშირებული ქართველურ ენებთან (საკუთრივ ქართულთან, მეგრულ-ჭანურთან, სვანურთან), რომ მთელი რიგი დეტალებია გამოსარკვევი სომხური ენის ისტორიიდან.

რაც შეეხება ქართულ ენას, მისი ადგილი მსოფლიო ენათა ოჯახში ბრწყინვალედ გაარკვიეს XIX-XX საუკუნეთა მკვლევარებმა ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო მარმა, ჰუგო შუხარდმა, აკაკი შანიძემ და სხვებმა. ამ მკვლევართა წყალობით გაირკვა შემდეგი ორი გარემოება:

1. ქართული ენა (საკუთრივ ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური), რომლის წერილობითი ძეგლები V საუკუნიდან არის ცნობილი (ბოლნისის წარწერა, ბეთლემის მოზაიკური წარწერები, ჯვრის მონასტრის წარწერები, იაკობ ცურტაველის თხზულება), ისეთი მნიშვნელობის ენად გამოვლინდა, რომ მისი ცოდნა სავალდებულოდ არის მიჩნეული ყველასათვის, ვისაც კი სურს შეისწავლოს და იკვლიოს კავკასიური ენები, მცირე აზიის არაინდოევროპული ენები, აგრეთვე ის ენა, რომელიც დაბედათ ბერძნებს, როდესაც მოვიდნენ და დასახლდნენ ამ ტერიტორიაზე (ესე იგი, ბერძნულზე ადრე გავრცელებული ენა საბერძნეთში).

2. ქართულმა ენამ შეგვინახა ისეთი სამწერლო ძეგლები საქრისტიანო ეპოქისა, რომლებშიც აღმოჩნდა უნიკალური მასალები ქრისტიანობის ისტორიის შესასწავლად.

ამ ორი გარემოებით აიხსნება, რომ ქართული ენის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა (გარდა საბჭოთა კავშირისა) დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებშიც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ენის შემსწავლელი ცენტრები შეიქმნა საფრანგეთში, ბელგიაში, აღმოსავლეთსა და დასავლეთ გერმანიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, ნორვეგიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთ ამერიკასა და სხვაგან. საკმარისი იქნება იმის აღნიშვნა, რომ მძლავრი ქართველოლოგიური სკოლები შექმნეს რობერტ ბლეიმა ამერიკაში, დევიდ ლანგმა ინგლისში, მიქელ თარხნიშვილმა და იულიუს ასფალგმა გერმანიასა და იტალიაში, ჟერარ გარიტმა, რენე ლაფონმა და სხვებმა ფრანგულ ქვეყნებში, კიტა ჩხენკელმა შვეიცარიაში.

ამ სკოლებმა მსოფლიო ასპარეზზე გაიტანეს საქართველოს ქართველოლოგიური პროდუქცია და თვითონაც შექმნეს უდიდესი მნიშვნელობის სამეცნიერო ქართველოლოგიური შრომები.

ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან

შოთა ხანთაძე



საქართველოს ევროპაში უძველესი დროიდან იცნობენ. თავი რომ დავანებოთ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების მრავალრიცხოვან ცნობას საქართველოს შესახებ, დასავლეთ ევროპაში უკვე ჯვაროსნული ლაშქრობების დროდან გროვდებოდა აღწერილობითი ლიტერატურა ჩვენს ქვეყანაზე. ამ ლიტერატურას ქმნიდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში ნამყოფი ევროპელი ელჩები და მოგზაურები.

მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილმა ფრანგმა პოლიგლოტმა გილიომ პოსტელმა სცადა დაეხასიათებინა ქართული ენა, მაგრამ ინფორმაციის სისუსტისა და უსწორობის გამო ვერ შეძლო. 1608 წელს შვაიგერმა გამოაქვეყნა ქართული ხუხსახუცური ანბანი, ხოლო 1629 წელს პაოლინომ და ირბახმა რომში გამოსცეს ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომლის შესწავლის საფუძველზე ფილოსოფოსმა გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა ქართული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიაკუთვნა. ეს შეხედულება ევროპაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ბატონობდა.

1643 წელს რომშივე დაიბეჭდა პირველი ქართული გრამატიკა ლათინურ ენაზე. მისი ავტორი იყო მარიო მერანციასკო მაჭო, ქარგი ფილოლოგიური განათლების მქონე მისიონერი, რომელმაც, სამწუხაროდ, ქართული ენა სუსტად იცოდა და მის ნაშრომსაც მრავალი ხარვეზი ჰქონდა.

მე-17 საუკუნეში ევროპაში ქვეყნდება პიეტრო დელა ვალეს, არქანჯელო ლამბერტის, ჟან-ბატისტ ტავერნიეს, ჟან შარდენისა და სხვათა ჩანაწერები, რომლებიც შეიცავენ პირველხარის ხოვან ცნობებს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ. პიეტრო დელა ვალემ რომში ჩაიტანა პირველი ქართული ხელნაწერი („ოთხთავი“) და საფუძველი ჩაუყარა ევროპაში ქართულ ხელნაწერთა შეკრებას. 1730 წლიდან პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაშიც დაიწყო ქართული ხელნაწერების შეგროვება.

1756 წელს იოსებ დეგინმა პარიზში გამოცემულ თავის დიდ ნაშრომში გამოაქვეყნა საქართველოს მეფე-მთავართა სრული გენეალოგიური ნუსხა, შედგენილი „ქართლის ცხოვრების“ საფუძველზე ჭართველი ბატონიშვილის ბაქარის მიერ.

მე-18 საუკუნეში ევროპული ქართველოლოგიური ლიტერატურა გამდიდრდა ტურნეფორის, გიულდენშტედტის, პეისონელის, რაინეგსისა და სხვათა ჩანაწერებით ქართველებისა და ჭართულის შესახებ. შემდგომ ხანში ასევე საყურადღებო ნაშრომებს აქვეყნებენ გაბა და კლაპროთი.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის მარი ბროსე (1802-1880), რომელმაც პარიზში გამოსცა ქართული ლიტერატურული და ისტორიული მასალების რამდენიმე კრებული, დაბეჭდა ძველი ქართული ისტორიული ქრონიკა და დაწერა ქართული ენის ორი გრამატიკული მიმოხილვა. ბროსემ საზღვარგარეთული ქართველოლოგია ნამდვილ მეცნიერებად აქცია და საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ღრმა მეცნიერულ შესწავლას ევროპაში.

მე-19 საუკუნეში საქართველოს ძველ ისტორიას, ქართულ ენასა თუ ლიტერატურას დიდი ინტერესით სწავლობდნენ გამოჩენილი ევროპელი მეცნიერები: ვივიენ სენ-მარტენი, ბოპი, მიულერი, ჰუგო შუხართი და სხვანი. მაგრამ მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ევროპაში ქართველოლოგიურ ძიებათა ცენტრმა პეტერბურგში გადაინაცვლა, სადაც მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის წყალობით მძლავრი მეცნიერული კერა ჩამოყალიბდა და დასავლეთის მეცნიერები იძულებული იყვნენ ამ კერის გაკვალულ გზას გაჰყოლოდნენ.

მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპის ქართველოლოგიურ ცენტრებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა.

წიგნის თარო

ახლახან გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა „ქართველ დრამატურგთა პიესები“. წიგნში შესულია მარიკა ბარათაშვილის, სიმონ მთვარაძის, მიხეილ მრევლიშვილის, გიორგი ნახუცრიშვილის, გენო ქელბაქიანისა და ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებები. წიგნის ტირაჟია 2.000.

• • •

გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა პოეტ ირაკლი აბაშიძის მოგზაურობათა შთაბეჭდილებების წიგნი—„გზები და ფიქრები“. მასში შესულია მხატვრული ნარკვევები: „ევროპა თვალის ერთი გადავლებით“, „ინდოეთის გზებზე“, „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით“, „პალესტინის დღიური“, „პოეტის უკვდავება“, „მსოფლიო პოეზიის დიდი რაინდი“, „დიადი საკაცობრიო იდეალების მომღერალი“, „ათი დღე გარიბალდის სამშობლოში“, „ევროპის მწერალთა კონგრესზე“, „კალევალას“ დღესასწაული“.

წიგნის რედაქტორია კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

• • •


დიდი ქართველი მეცნიერის გიორგი ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა სამეცნიერო შრომათა კრებული — „ გიორგი ახვლედიანი“. წიგნის რედაქტორია შოთა ძიძიგური.

თვითმფრინავები კოშკების თავზე

• კონსტანტინე სიმონოვი

გამოჩენილი თანამედროვე მწერალი კონსტანტინე სიმონოვი ქართველი ხალხის გულითადი მეგობარია. მისი ნარკვევები, სტატიები თუ რეპორტაჟები, რომლებიც საქართველოს ეხება, ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით გამოირჩევა.

ახლახან კონსტანტინე სიმონოვმა საქართველოს ულამაზეს კუთხეში — სვანეთში იმოგზაურა. შთაბეჭდილებები მწერალმა გაზეთ „პრავდაში“ გამოაქვეყნა. ჩვენი აზრით, „სამშობლოს“ მკითხველს დააინტერესებს, თუ როგორ აღიქვა ჩვენმა მეგობარმა სვანეთის უძველეს კოშკებთან შეხვედრა.



სვანური კოშკები.

ფოტო გურამ თოიკანაძისა

აჰა, ეს ერთი ზაფხულიც იწურება! იგი ვისთვის მეთვრამეტეა, ვისთვის — ოცდამეათე, ჩემთვის კი ორმოცდამეთოთხმეტე გახლავთ...

სულ მეტი და მეტი ხალხი მიდიმოდის ყოველ ახალ ზაფხულს ჩვენი ქვეყნის სახმელეთო, საწყლოსნო თუ საჰაერო გზებზე. ტერმინმა „ტურისტმა“ ჩვენს წარმოსახვაში საბოლოოდ დაკარგა თავისი უცხოური წარმომავლობა და იგი თავისად, ჩვეულებრივ, საწარამარო სიტყვად იქცა ჩვენი ქვეყნის ყველა ენაზე. მეც საბჭოთა ტურისტების მრავალმილიონიან მოდგმას ვეკუთვნი და სულიერად გამდიდრებულად, უფრო ბედნიერადაც კი ვგრძნობ თავს ყოველთვის, როცა ახალი მოგზაურობის ჟამს აღმოვაჩენ ხოლმე საბჭოთა მიწის ჩემთვის ახალ, აქამდე უცნობ კუთხეს.

ამ ზაფხულსაც ასე იყო. ბოლოს და ბოლოს, ვიხილე ერთ-ერთი ყველაზე საოცარი პატარა კუთხე საქართველოსი — ზემო სვანეთი, რომელიც აქამდე მხოლოდ წიგნებით, მეგობართა მონაყოლითა და მშვენიერი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის განსაცვიფრებელი აკვარელებით წარმომედგინა.

კაცმა რომ თქვას, „საქართველოს პატარა კუთხე“... აქ სიტყვამ მოიტანა. მთელი ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენი რუკა რომ ავიღოთ, ზემო სვანეთი მართლაც მის პატარა კუთხედ, მხოლოდ მცირე წერტილად წარმოჩნდება. მაგრამ როცა მის პირისპირ დადგები, როცა იქვე შენი თვალით ნახავ კავკასიონის დიდი მთაგრეხილის თოვლიან მწვერვალებს, როდესაც გამჭვირვალე ზეცაში ისე ახლოა განთქმული თეთნულდის ციცაბო ქარაფები, რომ გგონია, აგერ ხელით მიწვდებიო, როცა ქვემოთ, შენს ფერხთით ფაფარაყრილი ენგური უროსმცემლის მოუღლელობითა და რეაქტიული თვითმფრინავის გრუხუნით უხეთქება ქვის ნაპირებს, როდესაც თვალში ერთდროულად, ერთმანეთში გადაუსვლელად გიდგას ოთხი ფერი— ცისფერი — თავს ზემოთ, თეთრი — თოვლისა, მწვანე — საძოვრებისა და რუხი — მღინარეების ქაფისა და ყოველივე ამის წიაღში, თითქოს, უშველებელი ანთებული ქვის სანთლების მსგავსად, მიწიდან ამოდიან და ზეცის თავანს ებჯინებიანო, დგანან ძველთაძველი სვანური კოშკები; როდესაც ყველაფერ ამას უცქერი და მთელი არსებით გაბრუებული ხარ, „პატარა კუთხის“ გაგება შენი ლექსიკონიდან ქრება.

აბა, რა „პატარა კუთხეა“, თუკი შენ, ადამიანი, შენს თავს აქ გრძნობ უზარმაზარი მარადიული ბუნების ერთ პაწაწინა ნაწილად, თუკი ირგვლივ თვით ისეთი თვალუწვდენი მშვენიერება გაკრავს, რომ შეგიძლია გონწართმეულივით იდგე და მთელი დღეები უმზერდე,მაგრამ ეს თითქმის კოსმოსური მასშტაბები მაინც უჩვეულოდ გეჩვენება.

სულ რამდენსამე დღეს ვიმგზავრე და ვიარე ფეხით სვანეთში. მე, რა თქმა უნდა, ვერ გავკადნიერდები და სვანეთზე ისე ვერ დავწერ, თითქოს ამ მხარეს უკვე ვიცნობდე. მაგრამ იმის უფლება კი მაქვს, რომ მისი მშვენიერებით თავბრუდახვეული ვიყო და, ალბათ, იმის უფლებაც მრჩება, რომ ჩემს სულში ჩარჩენილ შთაბეჭდილებათა ძლიერება გაგიზიაროთ.

სვანეთის ზეცაში მიმქროლავი თვითმფრინავები, რომლებიც მისი ცენტრიდან — მესტიიდან სოხუმს, ზუგდიდს, ქუთაისს მიფრინავენ და უკან ბრუნდებიან, მათ ქვემოთ გაფანტული ძველი სვანური კოშკების კონტურების შეუსაბამობად არ გაიაზრება. სვანეთის კოშკები თავისი დროისთვის ისეთივე მწვერვალია ტექნიკისა და ისეთივე საოცრებაა ადამიანის გენიისა, როგორც ჩვენი მეოცე საუკუნისათვის — სულ ახალი და ახალი ნაბიჯები ადამიანისა ზეცაში.

აი ანაზდეულად წარმოვისახოთ უხილავი შეხმიანება საუკუნეებისა, — სვანური კოშკის მშენებლებს არ მართებთ მეტი გაოცება ჩვენი თვითმფრინავებით, ვიდრე ჩვენ დღეს ვცვიფრდებით საუკუნეებს გაძლებული მათი ნაგებობებით.

ყოველივე ჭეშმარიტად მშვენიერი, რაც კი ადამიანის ხელს შეუქმნია, საუკუნეთა წიაღში ხმიანობს და კვლავაც იხმიანებს, იქიდან გვიწვდის ხელს და კვლავაც გამოგვიწვდის. ამიტომაც: გაუმარჯოს თვითმფრინავებს სვანური კოშკების თავზე! ხასხასა საძოვრებში გაწოლილი აეროდრომის ბეტონის ზოლსა და რუხი ენგურის თავზე დაკიდებულ, მანქანებით სავსე გზატკეცილსაც გაუმარჯოს! კლდის ვიწროების ელექტროსადგურთა კასკადსა და სულ უფრო და უფრო მაღლა, მთებში მოჩახჩახე სინათლეს, ძველი კოშკების ქვებზე დაცემულ პროჟექტორების შუქს გაუმარჯოს!

მშვენიერებაზე მოგახსენებდით. აქ კიდევ მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ სვანეთის მკვიდრთა სულიერ მშვენიერებასა და სიმკაცრეზე, მათს ჩუმ თავდაჭერილობასა და სიტყვაძვირ სტუმართმოყვარეობაზე, საკუთარი ღირსების გრძნობის იმ წარუშლელ ბეჭედზე, რომელსაც ამ ადამიანებს ასვამს აქ, მათთვის საყვარელ, მაგრამ ძნელად საარსებო, მკაცრ მთებში ცხოვრება, სადაც უკლებლივ ყველაფერი მხოლოდ შრომით, მხოლოდ შეუპოვრობით, მხოლოდ ვაჟკაცობით მოიპოვება!

ვმადლობ სვანეთს, რუკაზე ნამცეცა, მაგრამ თავის ბუნებით დიად კუთხეს საქართველოსას, ვმადლობ იმის გამო, რომ მე, მრავალთა სხვათა მსგავსად, ამ ზაფხულს ბედმა მარგუნა მისი მკაცრი მშვენიერების ხილვა და იმის გამო. რომ მეხსიერებით წამოღებული ამ მშვენიერების მცირე ნაწილმა სული გამიმდიდრა.

„პრავდა“, 3 აგვისტო.

წიგნის თარო

საყმაწვილო ნაშრომი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მკითხველებს ახლახან მიაწოდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შოთა რევიშვილის გამოკვლევა „ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობიდან“, რომელიც ნიჭიერი გერმანისტის მიერ წლების მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების ერთგვარი შეჯამებაა.

წიგნში მართებულად არის გატარებული ის აზრი, რომ ქართველი ხალხი დღენიადაგ ცდილობდა აეღო ყოველივე კარგი სხვა ერების კულტურის საგანძურიდან და ამ გზითაც გაეშდიდრებინა თავისი გონების სალაჯო, საკუთარი ჯაზმულსიტყვაობა. ნაშრომი კიდევ ერთხელ ნათელყოფს ჭეშმარიტებას ილია ჭავჭავაძის შეხედულებისა — ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის აღზრდა-განვითარებაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „უცხო მწერლობასო“.

შრომაში თავმოყრილი და გაანალიზებულია ქართველი საზოგადოებრიობის ურთიერთობა გერმანული ლიტერატურის ცალკეულ წარმომადგენლებთან. საგანგებო მსჯელობის საგნად არის ქცეული ლესინგისა და გოეთესადმი, შილერისა და ჰაინესადმი ქართველი საზოგადოებრიობის დამოკიდებულება. კერძოდ, ნაჩვენებია, თუ როგორი ინტერესით თარგმნიდნენ მათ ნაწარმოებებს საქართველოში, როგორ ასცენიურებდნენ ანდა აქცევდნენ კრიტიკულ-მეცნიერული შესწავლის თემად, რათა გამოეყენებინათ ისინი საკუთარი იდეების საქადაგებლად.

სარეცენზიო წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საზღვარგარეთული ლიტერატურით ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა დაინტერესება არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს. ორიგინალურ კაზმულსიტყვაობასთან ერთად, ჩვენი მწერლები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნათარგმნ ლიტერატურას. მათი მიზანი იყო თავიანთი ხალხისათვის გაეცნოთ მოწინავე იდეებით აღსავსე და მაღალმხატვრული ფორმის უცხოური თხზულებები, რომლებიც გარკვეულად ეხმაურებოდნენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, მის მტკივნეულ საკითხებს.

ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევასაც, თუ რა როლი შეასრულა ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში გერმანელ დრამატურგთა თხზულებებმა. ამიტომ არის, რომ პროფესორ რევიშვილს მიზნად დაუსახავს გაგვაცნოს ქართულ თეატრში კარლ გუცკოვის, გერჰარდ ჰაუპტმანის, ერნსტ ტოლერისა და სხვათა დრამატული თხზულებების წარმოდგენის ისტორია. იგი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ როგორია ამა თუ იმ პიესის ავტორისეული იდეური გააზრება (გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, ჰაუპტმანის „დაზავების ზეიმი“, „როზა ბერნდი“, „წავის ქურქი“, ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „კაცი-მასა“) და როგორ უყენებდნენ ამ უკანასკნელს ქართულ სინამდვილეს, როგორი კორექტივები შეჰქონდათ მასში ქართველ რეჟისორებს (კოტე მარჯანიშვილს, სანდრო ახმეტელსა და სხვებს) განსხვავებული ისტორიული ვითარებისა თუ სოციალური გარემოს კარნახით.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც გამოკვლევაში საგანგებო მსჯელობის საგნად არის გამხდარი ის გახლავთ, თუ რატომ ექცეოდა საქართველო გერმანელ მწერალთა ყურადღების ცენტრში, როგორი იყო გერმანელი მხატვრული სიტყვის ოსტატთა თვალსაზრისი საქართველოსთან დაკავშირებით. მაგრამ ნაშრომის შინაარსი შორდება სათაურში მითითებულ არეს და, გერმანელ მწერლებთან ერთად, მასში ნაჩვენებია საქართველოსადმი სხვა ევროპელ მწერალთა დამოკიდებულებაც, — მათ შემოქმედებაში ქართული თემის დამუშავების ცდები. სწორედ ამ საკითხს არკვევს პირველი თავი („საქართველოს თემა ევროპულ ლიტერატურაში“). სადაც დახასიათებულია XVII საუკუნის გერმანელი მწერლის ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია — „ქართველი ქალი ეკატერინე“, რომელიც მოგვითხრობს ირანის წინააღმდეგ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ერთ ეპიზოდზე, კერძოდ, ქეთევან დედოფლის სპარსეთში ყოფნასა და მისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე. აქვეა განხილული XVII საუკუნის ფრანგი მწერლის კლოდ პროსპერ ჟულიო დე კრებიიონის „რადამისტი და ზენობია“, რომელშიც ასახულია ერთი გულსაკლავი ეპიზოდი იბერიის მეფის ფარსმან პირველის ბატონობის ხანიდან და სხვა.

შრომაში თავმოყრილია ყველა ის ცნობა, რომელთაც გვაწვდიან ვოლფრამ ფონ ეშენბახი, მონტესკიე, ვოლტერი, ლესინგი, ვინკელმანი, კანტი, ფრიდრიხ ბოდენშტედტი, ალექსანდრე დიუმა და არტურ ლაისტი. მათ შეხედულებათა გაცნობის შემდეგ ლოგიკურად მიგვიძღვართ იმ დასკვნამდე, რომ უცხოელი მწერლები საქართველოში ხედავენ დიდი სიმდიდრისა და მრავალფეროვანი ლანდშაფტის მქონე ქვეყანას, ხოლო ქართველებში — შრომისა და ბრძოლისუნარიან, დიდი კულტურისა და ხელოვნების შემქმნელ ერს.

ნაშრომის კიდევ ერთი ღირსება ის არის, რომ მასში განზოგადებულია ქართველი გერმანისტების ხანგრძლივი და ნაყოფიერი კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგები, ნაჩვენებია ის წვლილი, რომელიც ქართველმა გერმანისტებმა შეიტანეს გერმანული კაზმულსიტყვაობის შესწავლაში.

განსაკუთრებით საინტერესოა თავი — „გერმანული გამოხმაურებანი ერთი ქართული ზღაპრის გამო“, რომელშიც ლაპარაკია ქართული (მეგრული) ზღაპრის გმირის სანართისა და გერმანული საგმირო ეპოსის გმირის — ზიგფრიდის საგმირო საქმეთა შორის არსებულ საოცარ ანალოგებზე და იმ მოსაზრებებზე, რომლებიც გამოთქვეს გერმანელმა მკვლევარებმა — ვოლფგანგ გოლთერმა და ელადისლაუს ნერინგმა ამ ანალოგებთან დაკავშირებით. წინააღმდეგ „ევროპოცენტრიზმის“ თეორიისა, რომლის თანახმად ყოველგვარი საუკეთესო სიუჟეტი თუ ლიტერატურული სახე აღმოცენდა და ჩამოყალიბდა სწორედ დასავლეთ ევროპაში და შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, პროფესორი რევიშვილი ადგას იმ მოსაზრებას, რომ სანართიას თქმულება წარმოიშვა ქართულ ნიადაგზე სწორედ ისევე, როგორც ნიდერლანდელი გმირის თქმულება წარმოიშვა გერმანულ ნიადაგზე.

შოთა რევიშვილის ნაშრომს არა აქვს ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის მთელი სისრულით წარმოდგენის პრეტენზია, მაგრამ იგი ამ მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯია.

პროფესორი

დავით გამყრელიძე

წიგნის თარო

ათი სადღეგრძელო — ათივე საქართველოსი

ცნობილმა ბაშკირმა მწერალმა და ჟურნალისტმა **რამილ ხაკიმოვმა** ჩვენს რესპუბლიკაში 10 დღე გაატარა. ეს მისი მესამე სტუმრობა იყო საქართველოში. და აი ამ სტუმრობის შედეგიც: ნარკვევების კრებული — **„ათი სადღეგრძელო — ათივე საქართველოსი“.**

წიგნში ავტორი უმღერის ჩვენს რესპუბლიკას, მის სილამაზეს, შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანებს, მდიდარ ისტორიულ წარსულსა და ნათელ დღევანდელობას. **„მიხარია, რომ არსებობს ასეთი საუცხოო ხალხი — ქართველები. მე ბევრი რამ მშურს მათი,“** წერს ავტორი. წიგნის ენა უბრალო და სასიამოვნოა საკითხავად.

ქართველი მეგზური სიმაღლეთა

ჩვენი

სახელოვანი

ალპინისტების ცხოვრებიდან

— ჩვენ ასაფეთქებელი დიდწონიანი სხეულები — ამბობენ ალპინისტები ზედმეტად ხმამაღალ ხალხს. ის ხომ ყველგან ხმაურობს, ყველგან ხელს უშლის. ფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე ალპინისტები ყველა ბანაკს ტოვებენ და ფეთქების ადგილიდან ორ კილომეტრამდე მანძილზე ირიბად ჩამოწოლილ ფერდობებზე ინაწილებენ ხოლმე.

სპორტი

სიხარული და სინანული

ბოლო 3 წლის მანძილზე საბჭოთა ფეხბურთი „კიევური ნიშნით“ მიმდინარეობს. კიევის „დინამომ“ თავისი პირველხარისხოვანი ფეხბურთელების, საუცხოოდ აწყობილი თამაშის, საიმედო სათადარიგო მოთამაშეების წყალობით, სავსებით დამსახურებულად აიღო ხელთ ლიდერის როლი. ამ გუნდმა ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ჩემპიონის წოდება, რითაც გაიმეორა მოსკოვის არმიელ ფეხბურთელთა ძველისძველი რეკორდი. მაგრამ, ახლა კიეველთა ამ აშკარა მონოპოლიას საფრთხე ემუქრება: მას გამოუჩნდა ღირსეული მეტოქე, რომელიც თამაშის კლასით, პერსპექტივებით გაუტოლდა სამგზის ჩემპიონს. ესაა მოსკოვის „სპარტაკი“ და კარგა ხანია ნათელი შეიქნა, რომ 1969 წლის პირველობის გათამაშება, უპირველეს ყოვლისა, იქნება მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ დაძაბული ქიმპობა ოქროს მედლებისათვის.

ეს საერთოდ. ახლა ორიოდე სიტყვა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში მონაწილე საქართველოს გუნდებზე — თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოზე“.

თბილისის დინამოელებმა სეზონის დასაწყისში ბევრი სიხარული მოუტანეს თავიანთ ქომაგებს. გუნდის ხილვა მინდორზე სასიამოვნო იყო. იგი მატჩს მატჩზე იგებდა, თამაშობდა თავისი საუკეთესო ტრადიციული სტილით — გაშლილად, თამამად, სწრაფად, ტემპერამენტით, ცალკეულ მოთამაშეთა ბრწყინვალე ინდივიდუალური ოსტატობით. სლავა მეტრეველის, მიხეილ მესხის, მურთაზ ხურცილავას, რევაზ ძოძუაშვილის, გივი ნოდიას, კახი ასათიანისა და სხვათა თამაში საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა, მათ საკავშირო ნაკრებში იწვევდნენ, გუნდის ყოველ გამოსვლას პრესა ქებით იხსენიებდა. 17 თამაშის შემდეგ დინამოელებს 25 ქულა ჰქონდათ გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობით: 22—4.

და აი, მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან“. იგი თბილისელებმა პირწმინდად წააგეს — 0:3. ამას მოჰყვა დამარცხებები მოსკოვის „დინამოსთან“ — 1:4, ცსკა-სთან — 0:1. შეადარეთ: 4 გაშვებული ბურთი 17 მატჩში და მერე ერთბაშად 8 ბურთის მიღება 3 თამაშში. 3 დამარცხება ზედიზედ და ისიც გათამაშების ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე!

ცხადია, თბილისის „დინამო“ გარკვეულ კრიზისს განიცდის. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა. ახლა საგანგებო ზომებს მიმართავენ, რათა მდგომარეობა გამოსწორდეს და გუნდი კვლავ დაუბრუნდეს უმაღლესი ოსტატობის მწვერვალებს. აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ახალგაზრდებმა, ნიჭიერმა ფეხბურთელებმა, რომლებიც ვალდებულნი არიან ღირსეულად ჩაიბარონ უფროსი თაობის ესტაფეტა.

ქუთაისის „ტორპედომ“ მთლიანად გაამართლა გულშემატკივართა იმედები. გუნდის წინაშე კონკრეტული ამოცანა იდგა: წინასწარი შეხვედრების შემდეგ VII ადგილი დაეკავებინა და ამით სრული გარანტია შეექმნა უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ეს ამოცანა პირნათლად შეასრულეს და ახლა შესაძლებლობა აქვთ მშვიდად, გულდაჯერებით იზრუნონ მომავალზე, იმ ნიჭიერ ფეხბურთელთა გამოწრთობაზე, რომლებიც გუნდში საკმარისადაა.

ბიჭიკო ქორქია.

გიორგაძის ოქრო

სტუდენტთა შორის მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში, რომელიც დრეზდენში მიმდინარეობდა, შესანიშნავად იასპარეზა საბჭოთა გუნდმა. 27 ქულით ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. ვაჭარჯვებულთა შორის არის ქართველი მოჭადრაკე თენგიზ გიორგაძე.

ფხაკაძის ვერცხლი

ასეთი საინტერესო და მიმზიდველი ასპარეზობა კარგა ხანია არ ახსოვთ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოს ველოტრეკზე მოსულ გულშემატკივრებს. ტრეკზე რბოლაში მსოფლიოს პირველობის სპრინტერ ვაჟთა ფინალური შერკინება მართლაც დაძაბული და ველოსიპედისტთა ამ დიდი ფორუმის მშვენება იყო.

დასკვნით ასპარეზობაში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოსა და მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი ფრანგი მორელონი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონი ომარ ფხაკაძე. ორსავე ცდაზე მეტოქეებმა აჩვენეს მეტად მაღალი კლასი, ფინიშთან ორივეჯერ ერთდროულად მიიჯრნენ, მაგრამ რაღაც სანტიმეტრებით ადრე ფინიში ფრანგმა ველოსიპედისტმა გადალახა, რომელსაც კვლავ მიეკუთვნა მსოფლიოს ჩემპიონის მაღალი წოდება. ომარ ფხაკაძემ ვერცხლის მედლით დაიმშვენა მკერდი. როდესაც მორელონმა რადიოთი შეიტყო, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მიაკუთვნეს, იგი დაეწია მეტოქეს, მეგობრულად გადახვია მხარზე ხელი და აგრძნობინა ყველას, რომ ომარ ფხაკაძე მისი ღირსეული მეტოქეა.

ამრიგად ომარ ფხაკაძის სპორტულ ნადავლთა შორის მსოფლიო პირველობის სამივე ღირებულების მედალია. ადრე მოპოვებულ ოქროსა და ბრინჯაოს ვერცხლი შეემატა.

გათამაშების ცხრილი



მდგომარეობა 22 აგვისტოსათვის

I-XIV ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მ.)	15	12	2	1	24—5	26
„დინამო“ (კ.)	15	10	5	0	18—3	25
ცსკა	14	8	4	2	14—4	20
„ტორპედო“ (მ.)	17	6	8	3	14—9	20
„დინამო“ (თბ.)	15	6	6	3	17—10	18
„დინამო“ (მ.)	16	5	5	6	19—18	15
სკა (როსტ.)	14	5	3	6	13—17	13
„ნეფტჩი“ (ბ.)	15	3	6	6	13—18	12
„ზარია“ (ლუგ.)	16	3	6	7	15—20	12
„ზენიტი“ (ლ.)	15	3	5	7	10—18	11
„შახტიორი“ (დ.)	14	2	6	6	14—18	10
„ჩერნომორეცი“ (ო.)	15	3	4	8	8—16	10
„ტორპედო“ (ჭ.)	15	4	2	9	12—26	10
„დინამო“ (მნ.)	14	2	4	8	8—17	8

XV-XX ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი“ (ერ.)	22	8	6	8	24—27	22
„ურალმაში“ (სვ.)	22	6	7	9	12—19	19
„პახტაკორი“ (ტ.)	21	7	4	10	19—26	18
„კაირატი“ (ალმ.)	21	4	8	9	17—24	16
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	22	4	6	12	20—28	14
„ლოკომოტივი“ (მ.)	22	3	8	11	15—27	14



ფეხბურთის გულშემატკივრები

ფოტო სიმონ კილაძისა.

პიდევაც დაიზრდებიან...

სჯიდაო ხალიჩაზე ყოველთვის სახეგაღიმებული გამოდიოდა. ვაჟკაცის წესი არასოდეს დაურღვევია: თუ მეტოქე აჯობებდა, პირველი ულოცავდა წარმატებას. წელში მოხრილს ვერ ნახავდით, ძიძგილაობაც არ უყვარდა. შუაკაურისა და მოგვერდის უბადლო ოსტატი, როგორც წესი, ორთაბრძოლას დასაწყისშივე თავის სასარგებლოდ წყვეტდა. ხშირად უთქვამს — ყველა სახის ჭიდაობის იღეთებსა და წესებს ვიცნობ, მაგრამ ქართულს ვერც ერთი შეედრება, თუნდაც ის რად ღირს, წამოჩოქებულს ხელს რომ არ ახლებ, დააცდი, სანამ გაიმართებოდეს, პირისპირ დაგიდგებოდესო...

ამ ტრადიციებზე გაზრდილს, მრავალგზის უსახელებია თავი. ვახტანგ ბალავაძე შვიდჯერ იყო თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ორჯერ კი მსოფლიოს უბრალიერესი ფალავანის სახელი მოიპოვა. ახლა აღარ ჭიდაობს, მაგრამ მაინც რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა.

რა თქმა უნდა, ასეთ კაცთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა. და ჩვენც სახელოვან თანამემამულეს ვთხოვეთ, რამდენსამე შეკითხვაზე გაეცა პასუხი.



● პატივცემულო ვახტანგ, ხართ თუ არა კმაყოფილი ქართველ ფალავანთა წლევანდელი გამოსვლებით?

—დასამდური არაფერი მაქვს. თვითონვე განსაჯეთ, კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც მარტის თვეში არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში გაიმართა, საბჭოთა გუნდის ღირსებას შვიდი ქართველი ფალავანი იცავდა. აქედან სამმა — რომან რურუამ (კლასიკური ჭიდაობა), ზარიბეგ ბერიაშვილმა და შოთა ლომიძემ (თავისუფალი სტილი), მსოფლიოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ვერცხლის მედლით დაიმშვენა მკერდი მსოფლიო პირველობის დებიუტანტმა ომარ ბლიაძემ. მესამე ადგილზე გამოვიდნენ ტარიელ ალიბეგაშვილი და ნოდარ ხოხაშვილი. გვასახელეს ქართველმა ჭაბუკებმაც. ჩვენი ქვეყნის ღირსებას ამჯერადაც შვიდი ქართველი იცავდა. აღსანიშნავია, რომ ეს ასპარეზობაც ამერიკაში გაიმართა და მსოფლიოს ჩემპიონიც სამი ქართველი ჭაბუკი გახდა. ხოხაშვილი, მკლავაძე და მორჩილაძე ოქროს მედლებით დაბრუნდნენ. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ლუთიძემ, გეგუშიძემ და სუთიაშვილმა. როგორც ხედავთ, უფროსებს ღირსეული ცვლა ეზრდებათ.

● როგორია ჩვენი მოჭიდავეების უახლოესი გეგმები?

— ახლა საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის პირველობისათვის ემზადება. თუ ვინ დაიცავს ჩვენი ქვეყნის ღირსებას, ამას მწვრთნელები გადაწყვეტენ, ისე კი, საწვრთნელ ვარჯიშებზე ჩვენგან მიწვეული არიან ზარიბეგ ბერიაშვილი, შოთა ლომიძე, ლევან თედიაშვილი, ნოდარ ხოხაშვილი, ანდრო ცხოვრებოვი, ტარიელ ალიბეგაშვილი და გივი ყვარელაშვილი.

● ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის საუკეთესო მოჭიდავედ?

— ზარიბეგ ბერიაშვილი.

● თქვენი შვილი ბაღრი თქვენს კვალს გაჰყვა. გახდება თუ არა იგი დიდი მოჭიდავე?

—ვერაფერს გეტყვით, მისი ჭიდაობისათვის არ მიყურებია. არ იფიქროთ, ეს მოუცლელობით იყოს გამოწვეული. უბრალოდ, მამის გული არ მიშვებს დარბაზში, როდესაც ის ჭიდაობს. ისე მეგობრებისაგან ვიცი — თავისი ასაკისათვის ურიგოდ არ უნდა ჭიდაობდეს.

● გაიხსენეთ რომელიმე კურიოზული შემთხვევა თქვენი სპორტული ბიოგრაფიიდან.

—ეს იყო 1956 წელს. საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ამხანაგური შეხვედრების მოსაწყობად საფრანგეთს ვეწვიეთ. ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოვიპოვეთ. ერთ-ერთი შეხვედრის წინ ჩემთან მოვიდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი როჟე კულონი და მითხრა: ამჯერად თქვენი ტრიუმფული სვლა საფრანგეთის საჭიდაო ხალიჩებზე შეჩერდება. ამას გააკეთებს ბატონი რენო, მსოფლიო პირველობის პრიზიორიო.

ასეთი კატეგორიული განცხადებით განაწყენებულმა ცოტა მკვახედაც ვუპასუხე, — თქვენს ფალავანს 6 წუთში გავაკრავ ხალიჩაზე-მეთქი. მაშინ როჟე კულონმა სანაძლეო შემომთავაზა: — ჩვენს შორის დამარცხებულმა შამპანური იყიდოსო. სანაძლეომ ყველაზე მეტად პრესის წარმომადგენლები დააინტერესა. ისინი მოუთმენლად ელოდნენ საჭიდაო ხალიჩაზე ჩემს გამოსვლას.

მოწინააღმდეგეს ისეთი სიმშაგით ვეკვეთე, რომ 20 წამში ბეჭებზე გავაკარი. პირველი, ვინც გამარჯვება მომილოცა, ეს ბატონი როჟე კულონი იყო და... სანაძლეოს გადახდა მომთხოვა: — თქვენ თქვით, ექვს წუთში გავიმარჯვებ და არა 20 წამშიო...

● რით ხსნით ქართველ მოჭიდავეთა წარმატებებს?

— მიზეზი ბევრია. ქართველი კაცის ბუნება, შრომისმოყვარეობა, შეუპოვრობა, ძარღვიანი მკლავი და, რაც მთავარია, ქართული ჭიდაობა, რომელსაც საუკუნეებში აქვს ფესვი გადგმული. „კიდეკაც დაიზრდებიანო“, მეუბნებოდნენ ჩვენი წინაპრები და აკი იზრდებოდნენ. ახლაც ხომ რამდენი უძლეველი ფალავანი გვყავს და, რაც ყველაზე სასიხარულოა, უფრო მეტი გვეზრდება.

* * *

ამ სურათზე მსოფლიოს ორი ჩემპიონია აღბეჭდილი. ვახტანგ ბალავაძე (მარჯვნივ) წუთშესვენების დროს დარიგებას აძლევს თავის მემკვიდრეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს გურამ საღარაძეს.

რაზე წერდნენ ქართული გაზეთები

100 წლის წინათ

● 100 წლის წინათ თბილისში ორი ქართული გაზეთი გამოდიოდა. პირველი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დროება“, ჯერ ყოველკვირეული, ხოლო 1877 წლიდან ყოველდღიური, და ყოველკვირეული „სასოფლო გაზეთი“.

გაზეთ „დროების“ შინაარსი მრავალმხრივი იყო. აქ იბეჭდებოდა საქართველოს, რუსეთისა და უცხოეთის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ქრონიკა, საისტორიო, საეთნოგრაფიო, არქეოლოგიური წერილები საქართველოზე; ქართული ბელეტრისტიკა, ფოლკლორი, ინფორმაციები პროვინციის ცხოვრებაზე. ერობაზე, მაჰმადიან ქართველებზე, საეკლესიო საკითხებზე, საადგილმამულო ბანკზე და სხვა.

გაზეთის მთავარი მიზანი იყო ეროვნული კულტურის საკითხების გაშუქება.

მოგვყავს ზოგიერთი ინფორმაცია გაზეთ „დროების“ 1869 წლის აგვისტოს ნომრებიდან.

შინაგანი ცნობები გორიდან

გახშირებული წვიმები წელს შემოდგომაზე კარგი პურისა და ყურძნის მოსავლის იმედს აძლევდა გორის უეზდის მცხოვრებლებს; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ამ წვიმების შემდეგ იყო საშინელი სეტყვა, შემდეგ გვალვამ სულ ბოლო მოუღო აქაურ ყანებს, ამის გამო პური ეხლავე გაძვირდა, ასე რომ კოდს პურს 3 მან. ნაკლებ და ქერს 2 მან. და 40 კაპ. ნაკლებ ვერ იშოვით; რაღა თქმა უნდა დღეის შემდეგ ფასი კიდევ უფრო მოიმატებს.

ამ გაჭირვებაში მგონი, ჩვენს უეზდს ძალიან მოეხმარება სიმინდი, რომლითაც იკვებება თითქმის მთელი ჩვენი გლეხკაცობა, რადგან პურს ისინი ჰყიდიან ვალებისა და ხარჯის გარდასახდელათ.

სხვა და სხვა ამბავი

ქალებს მიეცათ ნება ედინბურგის უნივერსიტეტში (ანგლიაში) მედიცინის ლექციების სმენისა, მაგრამ იმათთვის ცალკე ოთახები იქნება უნივერსიტეტის სადგომში დანიშნული.


მთიელების სიტყვიერება

ვინც დაიცავს ენასა თვისსა, იმის თავიც დაცული იქნება.

კორესპონდენცია სოფ. ხაშმიდან

ურიგოა არ იქნება, რომ უფრო მომეტებულს ყურადღებას მივაქცევდეთ ჩვენ აბრეშუმის მოყვანას, რადგან ჩვენში, ღვთის მადლით, თუთა ძალიან ბევრია. შარშან აქ ხაშმში პირველათ ვნახე, რომ ზოგ-ზოგ სახლებში ეწყოთ ლასტები და მოშენებული ჰყავდათ აბრეშუმის ჭია. აბრეშუმის მოყვანა მაინცა და მაინც ძნელი არ არის და ფასი კარგი აქვს. მოსკოვში იყიდება ეხლა ნუხის აბრეშუმი ორას ოცი მანეთიდან ორას ორმოცამდი, ასე რომ გირვანქა ოთხი და ათი შაურიდან ექვს მანეთამდი გადის.

წარმოიდგინეთ ახლა, როგორ გაგვიმართავდა ხელს ჩვენ ამისთანა ძვირფასი ნივთის მოყვანა და გაყიდვა!



უცხოეთის ვალუტის კურსის ბიულეტენი

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი

1969 წლის აგვისტო

ვალუტის დასახელება	კურსი მანეთობით	
ავსტრალიის დოლარი	1	1,01
ავსტრიის შილინგი	100	3,49
ავღანეთის ავღანი	100	2,01
ალბანეთის ლეკი	100	18,00
ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დინარი	100	18,23
არგენტინის პესო	100	0,26
აშშ-ს დოლარი	1	0,90
ახალი ზელანდიის დოლარი	1	1,01
ბელგიის ფრანკი	100	1,79
ბირმის კიატი	100	18,90
ბულგარეთის ლევი	100	76,92
განის სედი	1	0,88
გვინეის ფრანკი	1.000	3,65
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მარკა	100	40,50
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მარკა	100	22,50
დანიის კრონი	100	11,96
ეგვიპტის გირვანქა	1	2,07
ეთიოპიის დოლარი	100	36,00
ერაყის დინარი	1	2,52
ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დონგი	100	30,60
თურქული ლირა	100	10,00
ინდოეთის რუპია	100	12,00
ინგლისის გირვანქა სტერლინგი	1	2,1510
ინდონეზიის რუპია	1.000	2,37
იაპონიის იენი	1.000	2,51
ირანის რიალი	100	1,19
ისლანდიის კრონი	100	1,02
იტალიის ლირა	1.000	1,4323
იუგოსლავიის დინარი (ახალი)	100	7,20
კამბოჯის რიალი	100	2,57
კანადის დოლარი	1	0,8330
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ვონი	100	74,93
კუბის პესო	1	0,90
ლიბანის გირვანქა	100	27,76
ლიბიის გირვანქა	1	2,52
მალაის დოლარი	100	29,40
მალის ფრანკი	1.000	1,82
მაროკოს დირჰამი	100	17,78
მექსიკის პესო	100	7,21
მონღოლეთის ტუგრიკი	100	22,50
ნეპალის რუპია	100	8,89
ნორვეგიის კრონი	100	12,60
პაკისტანის რუპია	100	18,79
პოლონეთის ზლოტი	100	22,50
რუმინეთის ლეი	100	15,00
საფრანგეთის ფრანკი	100	18,10
სირიის გირვანქა	100	23,68
სომალის შილინგი	100	12,60
საბერძნეთის დრაქმა	100	3,01
სუდანის გირვანქა	1	2,59
ტუნისის დინარი	1	1,71
უნგრეთის ფორინტი	100	7,67
ურუგვაის პესო	100	0,36
ფინეთის მარკა	100	21,43
ცეილონის რუპია	100	15,09
შვეიცის კრონი	100	17,40
შვეიცარიის ფრანკი	100	20,90
ჩეხოსლოვაკიის კრონი	100	12,50
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იუანი	100	45,00
ჰოლანდიის გულდენი	100	24,74

ცნობები ქუთაისიდან

● ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა ააგო ჩვენს ქვეყანაში პირველი სამთო მიწათმოქმედებისათვის განკუთვნილი ტრაქტორი, რომელიც სამუშაოებს ასრულებს როგორც მთიანი რელიეფის პირობებში, ისე დაბლობ და ვაკე ადგილებში.

● სიახლეა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაშიც, აქ შეიქმნა და პოლიგონზე გამოსაცდელად გაიგზავნა 6 ტონა ტვირთგამწეობის სატვირთო ავტომობილის ორი საცდელი ნიმუში.

გორის „ინტურისტის“ სტუმრები

გორის კომფორტულმა სასტუმრო „ინტურისტმა“, კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ, მიიღო პირველი სტუმრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ტურისტებს მოეწონათ ნომრები, წუნარი დერეფნები, სადაც დაფენილია სპეციალური ბგერათმშთანთქავი ხალიჩები, მოეწონათ რესტორანი, რომლის კედლებზე გაკრული ზღვისფერი ტყავი, სავარძლების გადასაკრავი, სუფრები, ფარდები და ხალიჩები ერთმანეთს ეხამება.

— რესტორანში თავს შინაურულად ვგრძნობთ, აქ არა მარტო შესანიშნავად ამზადებენ კერძებს, არამედ გულღიადაც ხვდებიან სტუმრებს, — სთქვა გერმანელმა მსახიობმა ურზულა ფიგელიოსმა.

აი, პირველი ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნში, რომელიც ბერლინელ ტურისტს ინჟინერ ალექსანდრე მალვიცს ეკუთვნის: „გმადლობთ სისფუთავისა და ფანტასტიკურად სწრაფი მომსახურებისათვის, გემრიელი კერძებისათვის, რამაც დიდი კმაყოფილება და სიხარული მოგვიტანა ამ ძველ ქალაქში ყოფნის დროს“.

სასტუმროსთან მუშაობს ღამის ბარი.

ნორჩი მებაღე.

ფოტოეტიუდი შოთა ჩხეტიანისა.

თქვენთვის, სტუმრებო!

დაიწყო 14-სართულიანი სასტუმროს მშენებლობა საირმეში. სტუმრების განკარგულებაში იქნება კომფორტული ნომრები, რომლებიც ერთდროულად 240 კაცს მიიღებენ. მათვე მომსახურება კაფე-რესტორანი, ბიბლიოთეკა, ფოსტა, 500-ადგილიანი საკონცერტო დარბაზი.

ქართული სამზარეულო

წინა ნომერში მკითხველებს ვაცნობეთ, რომ გაზეთი სისტემატურად გამოაქვეყნებს ქართული კერძების რეცეპტურას. რედაქციამ დახმარებისათვის მიმართა ამ საქმის უბადლო ოსტატს ექიმ თამარ სულაქველიძეს. მან სიამოვნებით იკისრა „ქართული სამზარეულოს“ ხელმძღვანელობა.

ქალბატონი თამარი რამდენიმე სპეციალური წიგნის ავტორია. მის წიგნებს („სამზარეულო დიასახლისისათვის“, „ადამიანის საჭმელი“, „დიასახლისის ცნობარი“, „ქართული კერძები“, „ქართული ბოსტნეულის კერძები“ და სხვა) დიდი პოპულარობა აქვთ მოპოვებული.

დღეს ქალბატონი თამარი გვთავაზობს ქათმის ჩიხირთმის რეცეპტურას.

ჩიხირთმა

● გასუფთავებული, გარეცხილი საშუალო სიდიდის დედალი მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი (8-10 ჩაის ჭიქა) და დადგით მოსახარშად. ხარშვის დროს მოხადეთ ქაფი. როცა ქათამი მოიხარშება, ამოიღეთ. დადეთ თეფშზე და მოაყარეთ მარილი. ქათმის ნახარშ წვენს მოხადეთ სიმსუქნე, ჩაასხით სუფთა ქვაბში, დაუმატეთ ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული 4-5 თავი ხახვი და კარგად მოშუშეთ (ხახვი თეთრად უნდა მოიშუშოს). ერთ ჩაის ჭიქა ქათმის ნახარშ წვენში და ორ სუფრის კოვზ ღვინის ძმარში გახსენით 1-2 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, დაასხით მოშუშულ ხახვს და დაუმატეთ ნახარში წვენი (7-8 ჩაის ჭიქა). ადუღებისას ჩაუმატეთ კონად შეკრული სამი ძირი ქინძი. ოცდაათი წუთის დუღილის შემდეგ ქინძი ამოიღეთ და გადააგდეთ, მდუღარე წვენს კი დაუმატეთ მარილი, დანაყილი დარიჩინი (Cortex cinnamomi cassiae) და პილპილი გემოვნებით, 5-6 წვეთი ზაფრანის ნაყენი (Tinetura crocata) და ხარშეთ კიდევ 5-10 წუთს. კერძი შეიძლება უზაფრანოდაც მომზადდეს. ამის შემდეგ წვენი გადმოდგით ცეცხლიდან. ცალკე ჭურჭელში კარგად გათქვიფეთ 2-3 კვერცხი, შეურიეთ ღვინის ძმარსა და ცოტაოდენ შეგრილებულ წვენში და თანდათანობით მორევით ასხით მზა ჩიხირთმაში. ამის შემდეგ ჩიხირთმის ადუღება არ შეიძლება, აიჭრება. დასაშვებია მისი მხოლოდ გაცხელება. შეგიძლიათ ჩიხირთმას დაუმატოთ ლიმონმჟავა (Acidum citricum) გემოვნებით.

მოხარშული დედალი დაჭერით და მოათავსეთ ჩიხირთმიან მათლაფში ან ჩიხირთმასთან ერთად ცალკე თეფშით მიიტანეთ.

სუფრაზე მიტანისას ჩიხირთმაში შეგიძლიათ ჩაყაროთ წვრილად დაჭრილი ქინძი.

შინაგანი საქმეთა სამინისტრო

სად არ?!

გრიგოლ გრიგოლის ძე შალამბერიძეს

დაბადებულს 1925 წელს გაგრაში. ეძებს დედა — **ეკატერინე პეტრეს ასული ჭითავა - შალამბერიძე**, მცხოვრები გაგრაში, მთისძირის I შესახვევი № 18.

გრიგოლ ვასილის ძე ერაძეს

დაბადებულს 1909 წელს ონის რაიონის სოფელ ფარახეთში, ეძებენ მეუღლე — **ვარა**, შვილები — **ვასიკო, ლილი ერაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ბაკურიანის ქ. № 16.

სოლომონ სანდროს ძე თედიაშვილს

დაბადებულს 1914 წელს ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში, ეძებენ მეუღლე — **ქეთევანი**, შვილები — **მერი, ცისია, დარიკო თედიაშვილები**.

რედაქტორი ვაჟტანგ ესვანჯია.

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება—გიორგი ათონელის ქ. № 25.

66488

ფასი 4 კაპ.